



სსიპ ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

12 10 2015 წ.

ბრძანება N 2-231

სსიპ - ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად შიდა კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწესების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების IV თავისა და სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის შინაგანაწესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად შიდა კონკურსის ჩატარების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექციას ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად სკოლაში ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ჩასატარებელი შიდა კონკურსის ორგანიზება.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:



/ელზა ბადაშვილი/